საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“

წლიური ანგარიში

2025



2026 წ.

სარჩევი

უწყების შესახებ 3

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები 5

გამოგონება და სასარგებლო მოდელი 5

ახალი ჯიშები 6

სასაქონლო ნიშნები, დიზაინი, დეპონირება, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები 7

და გეოგრაფიული აღნიშვნები 7

სამართალწარმოება და კანონშემოქმედებითი საქმიანობა 8

სერვისები და საინფორმაციო ტექნოლოგიები 10

მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურება 10

ციფრული საქმისწარმოება და ტექნოლოგიური განახლება 10

საერთაშორისო თანამშრომლობა 13

ადამიანური რესურსების განვითარება და გენდერული თანასწორობა 15

ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისა და გადამზადების ცენტრი 17

საგანმანათლებლო საქმიანობა 17

საგამომცემლო და პოლიგრაფიული საქმიანობა 19

ფინანსური მაჩვენებლები 20

საზოგადოებასთან ურთიერთობა 21

უწყების შესახებ

სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ ინტელექტუალური საკუთრების სფეროში პოლიტიკის განმსაზღვრელი, დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე. საქპატენტის ამოცანებს შორისაა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, დიზაინი, მცენარეთა ახალი ჯიში, ცხოველთა ახალი ჯიში, სასაქონლო ნიშანი, ადგილწარმოშობის დასახელება, გეოგრაფიული აღნიშვნა, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგია, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, საავტორო და მომიჯნავე უფლებები) სამართლებრივი დაცვა, შესაბამისი რეგისტრაციისა და ექსპერტიზის გზით.

აღნიშნული ამოცანების შესრულება მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეფექტური სისტემის არსებობისთვის, რაც, თავის მხრი,ვ უზრუნველყოფს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემის კუთვნილებას საერთაშორისო სისტემასთან, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას და ეფექტური აღსრულების მექანიზმების არსებობას. საქპატენტი, ასევე ხელს უწყობს ინოვაციებისა და კრეატიული ინდუსტრიების განვითარებას, ახორციელებს საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების პროგრამებს და უზრუნველყოფს საზოგადოებისთვის ინტელექტუალური საკუთრების შესახებ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

ორგანიზაციული სტრუქტურა იხ. https://www.sakpatenti.gov.ge/ka/page/201/

2025

გამოგონება და სასარგებლო მოდელი

166 განაცხადი
რეესტრში შეტანილ იქნა 134
ვალიდაცია 1
სასარგებლო მოდელი 54 განაცხადი
გაიცა 35 რეგისტრაციის მოწმობა

სასაქონლო ნიშნები

5490 განაცხადი
დარეგისტრირდა 1431 სასაქონლო ნიშანი
დაცვა გავრცელდა 2696 საერთაშორისო
სასაქონლო ნიშანზე

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები გეოგრაფიული აღნიშვნები

17 განაცხადი
დარეგისტრირდა:
გეორგაფიული აღნიშვნა 2
ადგილწარმოშობის დასახელება 5
დაცვა მიენიჭა 5 საერთაშორისო
ადგილწარმოშობის დასახელებას

დიზაინი

252 განაცხადი
51 რეგისტრირებული განაცხადი
გავრცელდა 167 საერთაშორისო რეგისტრაციის
მოქმედება

ახალი ჯიშები

სარეგისტრაციოდ
წარმოდგენილია 8 განაცხადი
გაიცა 15 რეგისტრაციის
მოწმობა

სამართალწარმოება კანონშემოქმედებითი საქმიანობა

სარჩელი 24
სააპელაციო საჩივარი 135
ხელახალი ექსპერტიზა 1
2 საკანონმდებლო და 4 კანონქვემდებარე
აქტის ცვლილება
ახალი კანონქვემდებარე აქტი 4
მემორანდუმი 6

საგანმანათლებლო საგამომცემლო პოლიგრაფიული საქმიანობა

534 მონაწილე
23585 პოლიგრაფიული პროდუქცია
9 სასწავლო აქტიობა

საზოგადოებასთან ურთიერთობა

300 რელიზი სააგენტოებზე
50-ზე მეტი სატელევიზიო პროდუქტი
2.3 მლნ. მიღწეული აუდიტორია
სოციალურ მედიაში

საკონსულტაციო მომსახურება

ადგილზე 893
სატელეფონო 11 555
ონლაინ 446

დეპონირება

426 დეპონირების განცხადება
364 დეპონირების დამადასტურებელი მოწმობა

ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავალი 15 763 100 ₾
ხარჯი 9 497 900 ₾

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები

გამოგონება და სასარგებლო მოდელი

გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტი უზრუნველყოფს გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადების კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპერტიზასა და შესაბამისი დოკუმენტების გაცემას.

2025 წლის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი ქმედება განხორციელდა, კერძოდ: ევროკომისიის 2024 წლის გაფართოების შესახებ ანგარიშით მიღებული რეკომენდაციის შესრულების მიზნით, 2025 წელს ევროპის საპატენტო კონვენციამ გაიარა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები, ითარგმნა და მისი სავალდებულოდ აღიარების თაობაზე დასკვნების წარმოდგენის მიზნით, დაიგზავნა შესაბამის უწყებებში. კომპეტენტური უწყებების დასკვნების გათვალისწინებით, ევროკომისიის რეკომენდაციის შესრულების მიზნით, ევროპის საპატენტო ორგანიზაციის ადმინისტრაციულ საბჭოში გაიგზავნა ევროპის საპატენტო კონვენციასთან მიერთების თაობაზე საქართველოს ინტერესის წერილი.

2025 წელს განხორციელდა ევროპის საპატენტო ოფისსა (EPO) და საქპატენტს შორის თანამშრომლობის 2025-2026 გეგმით გათვალისწინებული აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავდა ევროპის საპატენტო ორგანიზაციასა და საქართველოს მთავრობას შორის 2019 წლის ოქტომბერში გაფორმებული ვალიდაციის შეთანხმების იმპლემენტაციას, საქართველოში საპატენტო სისტემის შემდგომ დახვეწასა და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას.

2024 წლის 15 იანვარს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობასა და ევროპის საპატენტო ორგანიზაციას შორის ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ 2019 წლის 31 ოქტომბერს ხელმოწერილი შეთანხმება. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში ევროპული პატენტის ვალიდაცია მოთხოვნილი და შესაბამისი თანხა გადახდილი იყო 11 განაცხადზე . აღნიშნული რაოდენობა 2025 წელს მკვეთრად გაიზარდა და 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 292 განაცხადს.

საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსებში: „ლეონარდო და ვინჩი“ (რუსთაველის ფონდი) და „ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი“ (ათასწლეულის ფონდი);

ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა 63 წინასწარი საპატენტო ძიება, რომლის შედეგადაც დაინტერესებულ პირებს მიეწოდათ ინფორმაცია მათი ტექნიკური გადაწყვეტილებების სიახლის და საგამომგონებლო დონის შესახებ.

2025 წელს საქპატენტში წარმოდგენილია 166 გამოგონების განაცხადი, აქედან, საერთაშორისო პროცედურით 85 განაცხადი. ამასთან, საქპატენტმა, როგორც მიმღებმა უწყებამ, საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) ფარგლებში მიიღო 15 საერთაშორისო განაცხადი. 2025 წელს გაიცა 134 პატენტი და მოხდა ერთი ევროპული პატენტის ვალიდაცია. რაც შეეხება

სასარგებლო მოდელის განაცხადებს, 2025 წელს შემოვიდა 54 განაცხადი (მათ შორის 1 საერთაშორისო განაცხადი) და გაიცა 35 რეგისტრაციის მოწმობა.

ახალი ჯიშები

მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების სამართლებრივი დაცვა საქპატენტის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც რეგულირდება საქართველოს კანონით „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“ და, ასევე, მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენციით (UPOV-ის კონვენცია).

2025 წელს საქპატენტში სარეგისტრაციოდ წარმოდგენილია 8 განაცხადი, ამასთან, გაიცა 15 რეგისტრაციის მოწმობა.

სასაქონლო ნიშნები, დიზაინი, დეპონირება, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები
და გეოგრაფიული აღნიშვნები

სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტი უზრუნველყოფს სასაქონლო ნიშნებზე, გეოგრაფიულ აღნიშვნებსა და დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების მოპოვებასთან დაკავშირებულ პროცედურებს. ამ მიზნით, უწყება ეროვნულ და საერთაშორისო განაცხადებზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ატარებს ექსპერტიზას, აწარმოებს რეესტრსა და გასცემს შესაბამის დამცავ დოკუმენტებს. ამასთან, საქპატენტი ახორციელებს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დეპონირებას და გასცემს დეპონირების დამადასტურებელ მოწმობებს.

2025 წელს სასაქონლო ნიშნების მიმართულებით დამუშავდა 5490 განაცხადი, საიდანაც 2398 იყო ეროვნული, ხოლო 3092 – საერთაშორისო. დარეგისტრირდა 1431 სასაქონლო ნიშანი, ხოლო დაცვა გავრცელდა 2696 საერთაშორისო სასაქონლო ნიშანზე.

2025 წელს საქართველო „ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ ლისაბონის შეთანხმების ჟენევის აქტს“ შეუერთდა, რომელიც საქართველოსთვის ძალაში 2025 წლის 14 ოქტომბრიდან შევიდა. ჟენევის აქტთან მიერთებიდან გამომდინარე, ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე დაცვის გავრცელების მიზნით, საქპატენტმა, კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, ლისაბონის რეესტრით დაცული დასახელებების დაცვისთვის საჭირო ღონისძიებები განახორციელა.

2025 წელს დამუშავდა ეროვნული და საერთაშორისო გეოგრაფიული აღნიშვნისა და ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციის – 17 განაცხადი, მათ შორის, 11 – ლისაბონის შეთანხმების საფუძველზე. ამასთან, დარეგისტრირდა 2 ქართული გეოგრაფიული აღნიშვნა და 5 ქართული ადგილწარმოშობის დასახელება, ხოლო დაცვა მიენიჭა 5 საერთაშორისო ადგილწარმოშობის დასახელებას.

2025 წელს დიზაინზე მიღებულია - 252 განაცხადი, მათ შორის 74 ეროვნული, ხოლო 178 საერთაშორისო. დარეგისტრირდა 51 განაცხადით წარმოდგენილი დიზაინები, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელდა 167 საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება.

2025 წელს დამუშავდა 426 დეპონირების განცხადება. გაიცა 364 დეპონირების დამადასტურებელი მოწმობა.

სამართალწარმოება და კანონშემოქმედებითი საქმიანობა

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, რომლებიც საქართველოს მიერ აღიარებულია სავალდებულოდ შესასრულებლად.

საქპატენტის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მიმართულება ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სფეროში არსებული გამოწვევების შესწავლა, მათზე რეაგირება ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფის გზით და ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნაა, რომელიც სრულად უზრუნველყოფს ევროპულ და საერთაშორისო კანონმდებლობასთან შემდგომ დაახლოებას.

მიმდინარე საანგარიშო (2025) წელს, ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა შემდეგ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებში:

2025 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონი, რომლის მეშვეობითაც „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონში აისახა რეკომენდაციები და მოხდა საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება 1998 წლის 13 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 98/71/EC დირექტივასთან დიზაინის სამართლებრივი დაცვის შესახებ და 2001 წლის 12 დეკემბრის საბჭოს (EC) No 6/2002 რეგულაციასთან „გაერთიანების დიზაინების შესახებ“;

2025 წლის 09 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონი, რომლის მეშვეობითაც კანონში აისახა რეკომენდაციები და მოხდა საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება 2019/790/EU საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ ერთიან ციფრულ ბაზარზე დირექტივასთან იმ ნაწილში, რომელიც შეეხება შუალედური მომსახურების მიმწოდებლების პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრას საავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დამრღვევი ქმედებებისათვის და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლებს. კანონპროექტის მომზადებისას გამოყენებულ იქნა 2000 წლის 8 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/31/EC დირექტივა „შიდა ბაზარზე ინფორმაციული საზოგადოების სერვისების, კერძოდ, ელექტრონული კომერციის გარკვეული სამართლებრივი ასპექტების შესახებ (დირექტივა ელექტრონული კომერციის შესახებ);

„დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონთან (დოკუმენტის ნომერი №1029-IVმს-XIმპ, მიღების თარიღი -11/11/2025) შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ცვლილებები განხორციელდა 3 კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში.

ამასთან, „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ“ საქართველოს კანონის იმპლემენტაციისა და პრაქტიკაში დანერგვისთვის საქპატენტმა მიიღო 4 ახალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ხოლო აღნიშნულ კანონთან შესაბამისობაში მოვიდა 1 კანონქვემდებარე აქტი.

აგრეთვე, მომზადდა და ხელი მოეწერა 6 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

2025 წელს საქპატენტმა განიხილა 1 ხელახალი ექსპერტიზა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე, აგრეთვე, საქპატენტთან არსებულმა სააპელაციო პალატამ განიხილა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საქპატენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან, ასევე მათი დაცვის კრიტერიუმებთან, პატენტის გაცემასთან და სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტების რეგისტრაციასთან დაკავშირებული 135 სააპელაციო საჩივარი.

სასამართლო დავებზე საქპატენტის წარმომადგენლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. 2025 წელს საქპატენტში შემოსულია 24 ადმინისტრაციული სარჩელი და კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში წარდგენილია შესაგებლები. აღნიშნულ სარჩელებთან დაკავშირებით მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოებები საქართველოს საერთო სასამართლოებში.

სერვისები და საინფორმაციო ტექნოლოგიები

მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურება

საქპატენტის პრიორიტეტია სერვისების მაქსიმალური გაციფრულება და სახელმწიფო სერვისების განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული სტანდარტების დანერგვა და მათი ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობა.

საქპატენტი უზრუნველყოფს განმცხადებლებისთვის კონსულტაციების გაწევას, როგორც ადგილზე, ასევე სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით. სერვისების განვითარებისა და მოქალაქეთა მომსახურების სამმართველო უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებით ეროვნული და საერთაშორისო პროცედურებით შემოტანილი განაცხადებისა და თანდართული მასალების მიღებას, დამუშავებას, საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციასა და შესაბამისი დამცავი დოკუმენტების გაცემას.

საკონსულტაციო მომსახურების სტატისტიკური მონაცემები 2025 წლის მდგომარეობით:

- საკონსულტაციო სივრცეში გაწეული კონსულტაცია – 893;
- სატელეფონო კონსულტაცია – 11 555;
- ონლაინ გაწეული კონსულტაცია – 446.

ციფრული საქმისწარმოება და ტექნოლოგიური განახლება

საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (სესი) განახლება

2017 წლიდან ამოქმედდა საქპატენტის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (სესი), რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო პროცესების ელექტრონულ მართვას, მონაცემების გენერირებას, შენახვას, ხარისხობრივ და რაოდენობრივ დამუშავებას და ანგარიშგებას ერთიანი, სტრუქტურირებული არქიტექტურის ფარგლებში.

სისტემა აქამდე ეფუძნებოდა მოძველებულ ტექნოლოგიურ ბაზას, საჭიროებდა ინტეგრაციის, ავტომატიზაციისა და უსაფრთხოების სტანდარტების მნიშვნელოვნად გაძლიერებას. აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ, საქპატენტმა დაიქირავა მაღალკვალიფიციური დეველოპერთა გუნდი, რომელიც 2024 წლის 01 აგვისტოდან მუშაობს სისტემის მასშტაბურ ტექნოლოგიურ და ფუნქციურ მოდერნიზაციაზე.

2025 წლის განმავლობაში, დარგობრივი მიმართულებების საჭიროებებიდან გამომდინარე, განხორციელდა სისტემის ფუნქციონალების ეტაპობრივი ავტომატიზაცია და ბიზნესპროცესების განახლება, რამაც ხელი შეუწყო სამუშაო პროცესების ეფექტიანობასა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

ამასთან, ინფორმაციული ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, განახლდა სერვერის ოპერაციული სისტემები და მონაცემთა ბაზები; ფიზიკური სერვერები გადაყვანილ

იქნა ვირტუალურ გარემოში; პროგრამული პლატფორმები გადატანილ იქნა უახლეს ტექნოლოგიურ ვერსიებზე; გაუმჯობესდა მონაცემთა მიმოცვლის ავტომატიზაცია და ინტეგრაცია საერთაშორისო ორგანიზაციებთან. აღსანიშნავია, რომ უზრუნველყოფილია ევროპის საპატენტო უწყებასთან (EPO) საპატენტო განაცხადებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლა; ასევე, გაძლიერდა ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემა, მათ შორის, მომხმარებლების რეგისტრაციისა და ავტორიზაციის პროცესები. საკანონმდებლო ცვლილებების ინტეგრაციისა და ბიზნესპროცესების ოპტიმიზაციის მიზნით, განხორციელდა სისტემის ფუნქციონალური განახლება და მოდერნიზაცია. იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისად, 2026 წელს გაგრძელდება სისტემის ფუნქციონალების ავტომატიზაცია და განახლება.

განხორციელებული და დაგეგმილი ტექნოლოგიური განახლებები აუმჯობესებს მომხმარებლის გამოცდილებასა და უზრუნველყოფს მოქნილი და ავტომატიზებული სისტემის შექმნას, ინტელექტუალური საკუთრების სერვისების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობასა და მონაცემთა უსაფრთხოების გაძლიერებას.

აღსანიშნავია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სხვა პირების თანასწორად ხელმისაწვდომი მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ ვებგვერდი განახლდა და ადაპტირებული გახდა შშმ პირებისათვის. ვებგვერდს დაემატა როგორც გამოსახულების კონტრასტის ცვლილებისა და შრიფტის გადიდება-დაპატარავების, ისე ტექსტის ქართულად გახმოვანების ფუნქცია.

უწყების განახლებული ვებგვერდი სრულად უზრუნველყოფს სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მომხმარებლების თანაბარ წვდომას ინფორმაციაზე, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათ ჩართულობას და თანასწორ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საარქივო მასალების გაციფრულება

2024 წელს საქპატენტმა საქართველოს ეროვნულ არქივთან თანამშრომლობით დაიწყო უწყების დაფუძნების დღიდან არსებული მატერიალური დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების, მათი გაციფრულებისა (დიგიტალიზაცია) და შესაბამისი მატერიალური და ელექტრონული არქივების შექმნის პროცესი და 2025 წლიდან გაგრძელდა საქპატენტის ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისა და გადამზადების ცენტრის თანამშრომლების რესურსით.

აღსანიშნავია, რომ შეიქმნა არქივის ელექტრონული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დასკანერებული დოკუმენტების შენახვას და მოიცავს როგორც შიდა სამუშაო სივრცეს, ასევე დოკუმენტების ელექტრონულ კატალოგს. სისტემის ფარგლებში უკვე განხორციელდა არქივის მნიშვნელოვანი ნაწილის სამეცნიერო და ტექნიკური დამუშავება და გაციფრულება.

სისტემის ფუნქციონალის შემდგომი გაუმჯობესება და განახლებული ბიზნესპროცესების მოთხოვნებთან შესაბამისობა გაგრძელდება 2026 წლის განმავლობაში.

საერთაშორისო თანამშრომლობა

2025 წელი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით გამოირჩეოდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეხვედრებით, მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებში ჩართულობითა და ახალი პარტნიორული ინიციატივების განხორციელებით.

საქართველო-შვეიცარიის ინტელექტუალური საკუთრების ერთობლივი პროექტი (GESIP)

2025 წლის 7–8 თებერვალს გაიმართა საქართველო–შვეიცარიის ინტელექტუალური საკუთრების ერთობლივი პროექტის (GESIP) დასკვნითი ღონისძიება. შეხვედრაზე შეჯამდა პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში სამომხმარებლო სერვისების გაუმჯობესებას, გეოგრაფიული აღნიშვნების ეფექტიანი დაცვის მექანიზმების განვითარებასა და ინსტიტუციური გაძლიერების მნიშვნელობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში. ასევე აღინიშნა პროექტის ფარგლებში მიღწეული თანამშრომლობის შედეგები და სამომავლო მიმართულებები.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) გენერალური ასამბლეის 66-ე სესია

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარე სოსო გიორგაძე დაესწრო ასამბლეას და თავის გამოსვლაში ისაუბრა საქპატენტისა და WIPO-ს მჭიდრო თანამშრომლობაზე და იმ თვალსაჩინო მიღწევებზე, რომლებიც საქართველოში განხორციელდა ინტელექტუალური საკუთრების მიმართულებით WIPO-თან ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარე სიტყვით გამოვიდა ლისაბონის შეთანხმების ჟენევის აქტის 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე.

გენერალური ასამბლეის ფარგლებში, საქპატენტის თავმჯდომარის მონაწილეობით გაიმართა მაღალი დონის შეხვედრები, კერძოდ:

- ევროპის საპატენტო უწყების პრეზიდენტ ანტონიო კამპინოსთან;
- ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) გენერალურ დირექტორ დარენ ტანგთან;
- ტაჯიკეთის რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო დაწესებულების „პატენტებისა და ინფორმაციის ეროვნული ცენტრის“ ხელმძღვანელებთან;
- ყაზახეთის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრთან.

საქპატენტში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ადმინისტრაციის (CNIPA) დელეგაციის ვიზიტი

2025 წლის 26 სექტემბერს საქპატენტს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ადმინისტრაციის (CNIPA) დელეგაცია ეწვია. სამუშაო შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება, განსაკუთრებით, გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის პოლიტიკის, რეგულაციების და ექსპერტიზის პრაქტიკის მიმართულებით ინფორმაციის გაცვლის კუთხით. ვიზიტი განხორციელდა უკვე არსებული მემორანდუმებისა და პარტნიორული შეთანხმებების საფუძველზე და კიდევ უფრო გააძლიერა საქართველო-ჩინეთის თანამშრომლობა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში.

2025 წელს ინოვაციების გლობალური ინდექსის (GII) რეიტინგში საქართველოს კვლავ დაწინაურება

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციამ (WIPO) გამოაქვეყნა ინოვაციების გლობალური ინდექსის 2025 წლის რეიტინგი, სადაც საქართველო კვლავ დაწინაურდა – შარშანდელი მაჩვენებელი ერთი პოზიციით გააუმჯობესა და 56-ე ადგილი დაიკავა.

2025 წლის ინოვაციების გლობალური ინდექსის საქართველოს შედეგები ნათლად წარმოაჩენს ქვეყნის მნიშვნელოვან პროგრესს ისეთ მიმართულებებში, როგორებიცაა: ბიზნესგარემო, ადამიანური კაპიტალი, შემოქმედებითი პროდუქტები, ტექნოლოგიები და ინფრასტრუქტურა.

საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა

საქპატენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის: WIPO-ს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმძღვანელობის დიალოგის (WILD) პირველ სესიაში, საავტორო და მომიჯნავე უფლებების მუდმივმოქმედი კომიტეტის (SCCR) 47-ე სესიაში, საინფორმაციო სესიაში საავტორო უფლებებისა და გენერაციული ხელოვნური ინტელექტის შესახებ, სიმპოზიუმში „ქალები და ინტელექტუალური საკუთრება“, შანხაიში გამართულ ფორუმში „ინტელექტუალური საკუთრება და ხელოვნური ინტელექტი“, ევროპისა და ცენტრალური აზიის გეოგრაფიული აღნიშვნების მე-5 რეგიონულ საკონსულტაციო შეხვედრაში, ინდოეთში მაღალი დონის საერთაშორისო სასერტიფიკაციო პროგრამაში, საქართველო–ჩინეთის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ერთობლივი კომისიის სხდომაში, სერბეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყების 105 წლის იუბილეს ღონისძიებაში და CNIPA-ს მიერ „სარტყლისა და გზის“ ფარგლებში ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარში.

ადამიანური რესურსების განვითარება და გენდერული თანასწორობა

საქპატენტი აერთიანებს ასზე მეტ მაღალკვალიფიციურ თანამშრომელს, რომელთა პროფესიონალიზმი და მოტივაცია ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების სისტემის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. უწყება სისტემატურად ახორციელებს შიდა ტრენინგებსა და გადამზადების პროგრამებს, რათა თანამშრომლებს მუდმივად ჰქონდეთ შესაძლებლობა გაიღრმაონ პროფესიული ცოდნა, განავითარონ უნარები და ადეკვატურად უპასუხონ დარგში არსებულ დინამიკას.

კომპეტენტური და მოტივირებული ადამიანური რესურსის შენარჩუნებასთან ერთად, პრიორიტეტულია ახალი თაობის პროფესიონალების მოზიდვა და მათი მხარდაჭერა. ამ მიზნით, აღსანიშნავია, რომ კვალიფიციური ადამიანური რესურსის მოზიდვის, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავებისა და საიმედო ადამიანური რესურსის რეზერვის შექმნის მიზნით, 2025 წელს საქპატენტმა განახორციელა ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა. პროგრამის შედეგად, 2025 წლის 1-ლი ოქტომბრიდან საქპატენტის გუნდს შემოუერთდა 4 სტაჟიორი. სტაჟირების ფარგლებში მათ გაიარეს ინტენსიური სასწავლო და პრაქტიკული კურსები, რის შედეგადაც არა მხოლოდ გაიღრმავეს თეორიული ცოდნა, არამედ შეიძინეს რეალურ სამუშაო პროცესზე დაფუძნებული გამოცდილება.

საქპატენტისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა როგორც ადამიანური რესურსების მართვაში, ისე ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებაში. დაწესებულება უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს ქალებისა და მამაკაცებისთვის კარიერულ განვითარებაში, სწავლისა და გადამზადების პროგრამებში ჩართვაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობასა და ხელმძღვანელ პოზიციებზე დაწინაურებაში.

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროცესის ნაწილად, დაწესებულებაში ხორციელდება გენდერული მონაცემების შეგროვება და ანალიზი, რომლის მაჩვენებლები ორგანიზაციაში გენდერული ბალანსისა და თანასწორობის თვალსაჩინო მაგალითია. უწყებაში ქალთა ჩართულობის მაჩვენებელი მაღალია როგორც სპეციალისტთა, ისე მენეჯერულ დონეზე.

2025 წლის სტატისტიკა (დასაქმებულთა შესახებ, მათ შორის გენდერულ ჭრილში)

2025 წელი	დასაქმებულთა რაოდენობა	ქალი	კაცი	მენეჯერი	ქალი	კაცი
I კვარტალი	121	82	39	23	14	9
IIკვარტალი	125	82	43	24	14	10
III კვარტალი	124	80	44	24	14	10
IV კვარტალი	122	79	43	23	13	10

ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისა და გადამზადების ცენტრი

საგანმანათლებლო საქმიანობა

საქპატენტისთვის, როგორც ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი უწყებისთვის, საგანმანათლებლო პოლიტიკის განვითარება წარმოადგენს სტრატეგიულ პრიორიტეტს, რადგან ის უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსის ჩამოყალიბებას, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და, შედეგად, ხელს უწყებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემის გაძლიერებას, ინოვაციის სტიმულირებას და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას.

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელებას საქპატენტი უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისა და გადამზადების ცენტრის მეშვეობით.

სასწავლო ცენტრის განვითარებისა და გაძლიერების მიზნით, 2023 წლიდან მიმდინარეობს სისტემური რეფორმა, რომელიც ეფუძნება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებსა და საერთაშორისო პრაქტიკას.
2025 წელს განხორციელდა განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობის ინიციატივები, რომლებიც მიმართულია საქპატენტის ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისა და გადამზადების ცენტრის ინსტიტუციური გამტკიცებისკენ, აგრეთვე ინტელექტუალური საკუთრების სფეროში გრძელვადიანი, მდგრადი და შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პოლიტიკისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებისკენ.

დაიწყო ქუთაისის ტექნოლოგიურ ჰაბში სასწავლო ცენტრის ახალი ინფრასტრუქტურის რემონტი და კეთილმოწყობა

2025 წელს დაიწყო ქალაქ ქუთაისში, პარლამენტის ყოფილ შენობაში ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისა და გადამზადების ცენტრის მოსაწყობად საქპატენტისთვის გადმოცემული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის მიმართულებით აქტიური სამუშაოები: შესრულდა თანამედროვე საგანმანათლებლო და სამუშაო სივრცის არქიტექტურული და დიზაინერული პროექტირება და დაიწყო სარემონტო სამუშაოები.

საქართველოში დაინერგა ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა

2025 წლის 27 თებერვალს, ჟენევაში (შვეიცარიის კონფედერაცია), გაფორმდა სამმხრივი მემორანდუმი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას (WIPO), სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს – „საქპატენტსა“ და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტს (KIU) შორის. აღნიშნული მემორანდუმის

საფუძველზე, საქართველოში დაინერგა ერთობლივი საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა – „ინტელექტუალური საკუთრება, ინოვაციები და მეწარმეობა“. საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტების პირველი ნაკადი ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტმა 2025 წლის შემოდგომაზე მიიღო.

ჩატარდა საქართველოს პატენტრწმუნებულთა პირველი საკვალიფიკაციო გამოცდები, პატენტრწმუნებულთა ინსტიტუტის მიმდინარე რეფორმის ფარგლებში

2025 წელს, 11-წლიანი შუალედის შემდეგ, პირველად ჩატარდა საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდები. საკვალიფიკაციო გამოცდა წარმატებით ჩააბარა 28 კანდიდატმა. 2025 წლის 30 დეკემბერს მათ საზეიმო ღონისძიებაზე გადაეცათ გამოცდის წარმატებით ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატები.

საანგარიშო პერიოდში სასწავლო ცენტრის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა სულ 9 სასწავლო აქტივობა (ტრენინგი, ლექცია, სემინარი, ვებინარი, დისტანციური სწავლების კურსი და სხვ.), რომელსაც დაესწრო ჯამში 534 მონაწილე.

საანგარიშო წელს, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, წარმატებით ჩატარდა ყოველწლიური სასწავლო აქტივობები:

- გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ საქპატენტისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ერთობლივი საერთაშორისო სასერტიფიკატო ტრენინგ-პროგრამა;
- ინტელექტუალური საკუთრების შესახებ საქპატენტი-ელსას საერთაშორისო საზაფხულო სკოლა;
- ინტელექტუალური საკუთრების დისტანციური სწავლების ზოგადი კურსი – DL101GE;
- საზაფხულო ბანაკი „ინტელექტუალური საკუთრება და ინოვაციები“;
- ეროვნული ვებინარი „საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) სისტემის მიმოხილვა: ეროვნული ვებინარი საქართველოს განმცხადებლებისთვის“.

საანგარიშო პერიოდში საქპატენტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ჩატარდა სხვადასხვა თემატიკის შემდეგი სასწავლო აქტივობები:

- 2025 წლის 27 და 28 მაისს ევროპის საპატენტო უწყებასთან (EPO) თანამშრომლობით ონლაინ ფორმატში ჩატარდა სასწავლო სესიები ვირუსის შტამებზე საპატენტო ექსპერტიზის შესახებ;
- 2025 წლის 26 თებერვალს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის მოთხოვნების გათვალისწინებისა და უწყებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ერთგვაროვანი პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით, საქპატენტში ჩატარდა ტრენინგი;

- 2025 წლის 5 ნოემბერს და 5 დეკემბერს სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის ფარგლებში საქპატენტში ტრენინგი ჩატარდა, რომლის მიზანი იყო საქპატენტის თანამშრომლებისთვის სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული უცხოური ენების ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესებისა და სალიტერატურო ენის განახლებული ნორმების გაცნობა.

საგამომცემლო და პოლიგრაფიული საქმიანობა

პარიზის კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნების მიზნით, საქპატენტი გამოსცემს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენს. გარდა ამისა, საგამომცემლო საქმიანობა მოიცავს, ასევე, საზოგადოების ფართო წრეებში ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ცოდნის გავრცელებისა და დარგის პოპულარიზაციის ხელშესაწყობად, სასწავლო თუ საინფორმაციო ხასიათის წიგნების, ჟურნალების, ბროშურებისა და სხვა საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის პუბლიკაციების გამოცემასა და ბეჭდვას.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა და გამოიცა შემდეგი ოფიციალური გამოცემები:

- სამრეწველო საკუთრების 24 ქართულენოვანი ოფიციალური ბიულეტენი და მისი ინგლისურენოვანი ვერსია;
- ოფიციალური ბიულეტენის სპეციალური გამოშვების 1 ნომერი (№1(23). მასში გამოქვეყნდა ევროკავშირის გეოგრაფიული აღნიშვნები, რომელთა დაცვა განხორციელდება საქართველოში;
- მომზადდა და გამოიცა მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ბიულეტენის 5 ნომერი.

საგამომცემლო-სარედაქტორო სამუშაოების მიმართულებით საანგარიშო წელს დარედაქტირდა 1500 გვერდამდე სხვადასხვა დანიშნულების მასალა: ვებგვერდზე განსათავსებელი ინფორმაცია, საკანონმდებლო დოკუმენტები, წერილები, ღონისძიების მასალები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ, პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის მხარდაჭერის მიზნით, საანგარიშო წელს მომზადდა და საქპატენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის 2025 წლის პროგრამით განსაზღვრულ მასალებზე დაყრდნობით მომზადებული გამოცემები: „ინტელექტუალური საკუთრების სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტების კრებული“ (452 გვ.) და „ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების კრებული“ (288 გვ.). ამასთან, საანგარიშო წელს დაიბეჭდა და აიკინძა სხვადასხვა დანიშნულების 23585 ერთეული პოლიგრაფიული პროდუქცია,

ფინანსური მაჩვენებლები

საქპატენტის დაფინანსება ხორციელდება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასა და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლით, რითაც უწყება უზრუნველყოფს ყველა ხარჯის (საოპერაციო და არასაოპერაციო) დაფინანსებას.

2025 წელს საქპატენტის მიერ გასაწევი ხარჯები დაგეგმილი იყო 12690.7 ათასი ლარის სიდიდით. ფაქტობრივად გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 9497.9 ათასი ლარი, დაგეგმილზე 3192.8 ათასი ლარით ნაკლები.

საქპატენტის შემოსავალი დაგეგმილი იყო 13 000 ათასი ლარის სიდიდით. ფაქტობრივად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 15930.8 ათასი ლარი, დაგეგმილზე 2930.8 ათასი ლარით მეტი.



საზოგადოებასთან ურთიერთობა

საზოგადოებასთან ურთიერთობა საქპატენტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომლის მიზანია უწყების საქმიანობის პოპულარიზაცია, ცნობადობის გაზრდა და საზოგადოებაში ნდობის განმტკიცება. სამსახური უზრუნველყოფს განხორციელებულ სიახლეებსა და პროცესებზე გამჭვირვალე კომუნიკაციას, რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ საზოგადოების სრულყოფილ ინფორმირებასა და მიღწეული შედეგების წარმოჩენას.

2025 წელს აქტიურად გაშუქდა საერთაშორისო თანამშრომლობა WIPO, EUIPO, EPO და CNIPA-სთან, ასევე:

- ცვლილებები „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ და „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონებში;
- ლისაბონის შეთანხმების ჟენევის აქტის რატიფიცირება, რის შედეგადაც გაფართოვდა ქართული პროდუქტების დაცვის არეალი;
- პატენტრწმუნებულთა ინსტიტუტის ძირეული რეფორმა და 2014 წლის შემდეგ პირველად ჩატარებული საკვალიფიკაციო გამოცდები;
- თავმჯდომარის ოფიციალური ვიზიტები და მაღალი დონის შეხვედრები საერთაშორისო პარტნიორებთან.

საქპატენტი მონაწილეობდა კულტურულ ღონისძიებებსა და ფესტივალებში (გურჯაანის ღვინის ფესტივალი, „რთველი“, „ჭაჭა“). ასევე, გააგრძელა ტელეიმედთან ერთობლივი სატელევიზიო პროექტი გეოგრაფიული აღნიშვნების პოპულარიზაციის მიზნით.

უწყების პრიორიტეტად რჩება ახალგაზრდების მხარდაჭერა: „ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი“, „ლეონარდო და ვინჩი“, საგანმანათლებლო ბანაკები და სამთავრობო პროგრამის ფარგლებში, 3-თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირება კურსდამთავრებულთათვის. ამოქმედდა საქპატენტის, KIU-სა და WIPO-ს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა „ინტელექტუალური საკუთრება, ინოვაციები და მეწარმეობა“.

საქპატენტმა გააღრმავა თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციასთან: გაფორმდა სამმხრივი მემორანდუმი KIU-სა და WIPO-სთან, ასევე, ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციასთან, სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან, საქართველოს ხელოვნების სასახლესთან, თბილისისა და ბათუმის საბავშვო ბაღებთან.

კომუნიკაციის სტრატეგიის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია მიზანშედეგობრივი კავშირის გაანალიზება. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა საკომუნიკაციო კრიტერიუმების განსაზღვრა ტრადიციულ მედიასაშუალებებთან, იქნება ეს ტელე-რადიო მაუწყებლობა თუ საინფორმაციო სააგენტოები, ასევე სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმაზე, კერძოდ, „ფეისბუქზე“, „ლინკდინსა“ და უწყების ვებგვერდზე აქტივობის შეფასება და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, სამომავლო მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა.

სტატისტიკა ტრადიციული მედიის მიმართულებით:

- 300-ზე მეტი რელიზი მხარდამჭერ საინფორმაციო პორტალებზე;
- 50-ზე მეტი სატელევიზიო და რადიო ეთერი (კომენტარი, სიუჟეტი, ინტერვიუ).

სოციალური მედიის ძირითადი საკომუნიკაციო არხის Facebook-ის ანალიტიკური მონაცემები. საანგარიშო წლის 31 დეკემბრის მონაცემებით:

- კონტენტმა მოიცვა: 2.3 მლნ ადამიანი;
- ახალი გამომწერების რაოდენობა: 1700 (ჯამში 20 573).

სოციალური მედიის LINKEDIN-ის პლატფორმა განსაკუთრებით საანგარიშო პერიოდში გააქტიურდა, რაც აისახა შემაჯამებელ მონაცემებზე და მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე არსებულ საანგარიშო პერიოდში შეადგინა:

- ახალი გამომწერების რაოდენობა - 169 ახალი გამომწერი (ჯამში 500);
- სულ მოიცვა 38 927 ადამიანი.